აღმატებოდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ჯამურად წარმომოხილ უცხოურ ვალუტაში არსებულ სესხთან დაკავშირებულ საკურსო სხვაობის თანხას. იგი განიხილავს მთელ სამშენებლო პროექტს, როგორც საანგარიშო ერთეულს, რომელიც უგულვებელყოფს საანგარიშგებო პერიოდის თარიღებს. უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხთან დაკავშირებით წარმომოხილი საკურსო სხვაობის თანხა, რომელიც განიხილება როგორც საპროცენტო დანახარჯების კორექტირება, წარმოადგენს სააღრიცხვო შეფასებას.

ჯგუფი განსაზღვრავს ჰიპოტეტურ საპროცენტო განაკვეთს სამუშაო ვალუტაში არსებული სესხისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის ქართულ ლარში აღებული სესხების საფუძველზე. თუ სესხის აღება ხდება რომელიმე კონკრეტული განსაკუთრებული აქტივის მისაღებად, ამ აქტივთან მიმართებით ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზებად ნაწილს საწარმო განსაზღვრავს საანგარიშგებო პერიოდში ამ სესხთან დაკავშირებით გაწეული ნასესხები სახსრების ფაქტობრივი დანახარჯებიდან იმ საინვესტიციო შემოსავლების თანხის გამოქვითვით, რომელიც მიიღება მოცემული სესხის მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებიდან.

თუ საწარმომ აიღო ჩვეულებრივი, საერთო დანიშნულების სესხი, მაგრამ გამოიყენა რომელიმე კონკრეტული განსაკუთრებული აქტივის შესაძენად, საწარმოებლად ან ასაშენებლად, ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზებადი თანხის დასადგენად გამოიყენება ამ აქტივზე გაწეული დანახარჯების კაპიტალიზაციის ნორმა.

საწარმომ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია, განსაკუთრებული აქტივის თვითღირებულებაში იწყება როდესაც საწარმო პირველად დააკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა პირობას:

- განსაკუთრებულ აქტივზე გაწეულია პირველი დანახარჯები;
- გაწეულია ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული პირველი დანახარჯები;
- დაწყებულია აუცილებელი სამუშაოები მოცემული აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდ მდგომარეობაში მოსაყვანად. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია დროებით ჩერდება როდესაც შეფერხდება აქტივზე აქტიური სამუშაოების წარმართვის პროცესი.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯის კაპიტალიზაციის პროცესი წყდება როდესაც ძირითადად, მთავრდება მოცემული აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის ან გასაყიდად მომზადებისათვის საჭირო ყველა აქტიური სამუშაო.

საგრანტო შემოსავალი. საგრანტო შემოსავალი წარმოადგენს სახელმწიფოსგან მიღებულ დაფინანსებას, რომელიც არ აკმაყოფილებს ბასს 20-ის მოთხოვნებს და აღიარდება ინდივიდუალურ მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც მოხდება გრანტის მიღება.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები ირიცხება საანგარიშგებო თარიღისათვის სრულად ან არსებითად ძალაში შესული ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით.

ადრე მოქმედი მოდელით კომპანიებს მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი ჯგუფში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა. მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი მოდელი ჯგუფისათვის ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არაა კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და ფულადი სახსრების გადარიცხვა, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ აქტივობას; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგებიდან გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგებიდან გადასახადის“ ჯგუფში. მიმდინარე და წარსული პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიღებულ იქნეს მათგან. სხვა კომპონენტებზე დაწესებული გადასახადი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ჯგუფში „საგადასახადო ხარჯები“.

ახალი კანონმდებლობის ამოქმედების შედეგად, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზამ დაკარგა ეკონომიკური მნიშვნელობა. ახალი კორპორატიული დაბეგვრის მოდელით ბასს 12 სტანდარტით - „მოგებიდან გადასახადი“ გათვალისწინებული გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები აღარ გამოიყენება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯიდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა.

შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისთვის. ჯგუფის საკუთრებაში არსებულ მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება კონსოლიდირებულად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- შენობა-ნაგებობები 15-50 წელი
- დანადგარები 5-25 წელი
- ავტოტრანსპორტი 10-15 წელი
- ოფისის დანადგარები, აღჭურვილობა და ავეჯი 5-15 წელი

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება – ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფი ამოწმებს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს და ადგენს, ხომ არ არის იმის ნიშანი, რომ აქტივებმა გაუფასურება განიცადა. თუ ამგვარი აღმოჩნდა, დგინდება აქტივის აღდგენითი ღირებულება, რათა შემდგომ განისაზღვროს გაუფასურების ხარჯის მოცულობა (თუ ასეთი არსებობს).

თუ ცალკეული აქტივის აღდგენითი ღირებულების დადგენა შეუძლებელია, ჯგუფი აფასებს ფულადი სახსრების წარმომქმნელი იმ ერთეულის ამოღებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის დადგენა შესაძლებელია, კორპორაციული აქტივები ნაწილდება ცალკეულ შემოსავლის მომტან ერთეულებში. სხვა შემთხვევაში, ხდება მათი განაწილება შემოსავლის მომტან უმცირეს ჯგუფებზე, რომელთათვის განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის დადგენა შესაძლებელია.

აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს სამართლიან ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯების სხვაობასა და გამოყენების ღირებულებას შორის. ამ უკანასკნელის შეფასებისას, ხდება სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირება მიმდინარე ღირებულებამდე ისეთი გადასახადამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელშიც ასახულია დროში ფულის ღირებულების მიმდინარე საბაზრო მნიშვნელობა და იმ აქტივისათვის დამახასიათებელი რისკები, რომლისთვისაც სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო მნიშვნელობის კორექტირება არ მომხდარა. თუ აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება, სავარაუდოდ, ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, ეს უკანასკნელი დაიყვანება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების ხარჯი დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალში.

როდესაც ხდება გაუფასურების ხარჯის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი აღდგენითი ღირებულების კორექტირებულ მნიშვნელობამდე. თუმცა, ეს ისე ხდება, რომ გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს ისეთი საბალანსო ღირებულება, რომელიც დადგინდებოდა, წინა წლებში რომ არ მომხდარიყო ამ აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) გაუფასურების აღიარება. გაუფასურების ხარჯის აღდგენა დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შეიცვლება, აქტივის (ან დაკავშირებული აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი აღდგენად ღირებულების შესწორებულ შეფასებამდე (გაყიდვის ფასი გამოკლებული შევსებისა და გაყიდვის ხარჯები, მარაგების შემთხვევაში), მაგრამ არა იმაზე მეტად, ვიდრე აქტივისთვის (დაკავშირებული აქტივების ჯგუფის) წინა წლებში აღიარებული რომ არ ყოფილიყო აღიარებული გაუფასურების ზარალი. გაუფასურების ზარალის აღდგენად აღიარებულია დაუყოვნებლივ მოგებასა ან ზარალში.

მარაგები

მარაგები გარდა სოფლის მეურნეობის პროდუქტისა

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადამამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ასევე, მოიცავს სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებების პირდაპირპროპორციულად.

მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების კონვერსიის დანახარჯებზე ხდება საშუალო საწარმოო სიმძლავრის მიხედვით. საშუალო საწარმოო სიმძლავრე არის წარმოების ისეთი დონე, რომლის მიღწევაც საშუალოდ მოსალოდნელია რამდენიმე საწარმოო პერიოდის ან სეზონის განმავლობაში წარმოების ნორმალურ პირობებში, საწარმოო სიმძლავრეების გეგმური შენახვის ზარალის გათვალისწინებით.

ჯგუფი იყენებს წარმოების ფაქტობრივ დონეს, თუ იგი უახლოვდება წარმოების საშუალო სიმძლავრეს. წარმოებული პროდუქციის ერთეულზე მისაკუთვნიებული მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების თანხა არ იზრდება დაბალი მწარმოებლურობის ან მოწყობილობების მოცდენების გამო. გაუნაწილებელი ზედნადები ხარჯები ჩაითვლება იმ პერიოდის ხარჯებად, რომელშიც იქნა გაწეული. საანგარიშგებო პერიოდში, რომლისთვისაც დამახასიათებელია წარმოების განსაკუთრებულად მაღალი დონე, პროდუქციის ერთეულზე მიკუთვნიებული მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების თანხა იმ ოდენობით მცირდება, რომ არ მოხდეს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეფასება თვითღირებულებაზე მაღალი თანხით. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება პროდუქციის ერთეულზე ხდება საწარმოო სიმძლავრეების ფაქტობრივი გამოყენების მიხედვით. მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

სოფლის მეურნეობის პროდუქტი

ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქტი თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ნაყოფის მიღების მომენტში გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით და აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. სოფლის მეურნეობის პროდუქციის საწყისი აღიარებისას მიღებული შემოსავალი აღიარდება კონსოლიდირებულ მოგებაზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. სოფლის მეურნეობის პროდუქტის მიღებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები ჩამოიწერება პერიოდის ხარჯად.

რეზერვები - რეზერვები აღიარდება, როდესაც ჯგუფის უჩნდება მიმდინარე ვალდებულება (სამართლებრივი ან კონსტრუქციული) წარსული ხდომილების გამო, სავარაუდოა, რომ ჯგუფის მოეთხოვება ამ ვალდებულების დაფარვა და ვალდებულების ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია.

რეზერვად აღიარებული თანხა არის საანგარიშგებო დღეს მიმდინარე ვალდებულების დასაფარად საჭირო კომპენსაციის შეფასებული ოდენობა, ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და განუსაზღვრელობების გათვალისწინებით. როდესაც რეზერვი ფასდება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად სავარაუდოდ საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების მიმდინარე ვალდებულება (თუ დროში ფულის ღირებულების ეფექტი არსებითი ოდენობისაა).

თუ რეზერვის დასაფარად საჭირო ყველა ან ზოგიერთი ეკონომიკური სარგებელი მესამე მხარისგან უნდა იქნას მიღებული, მოთხოვნა აქტივად აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ კომპენსაციის მიღება თითქმის გარანტირებულია და მოთხოვნის ოდენობა სარწმუნოდ იზომება.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები - პირობითი ვალდებულებების აღიარება ფინანსურ ანგარიშგებაში არ ხდება. ისინი განიმარტება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, თუ ეკონომიკური სარგებლის მატარებელი რესურსების გადინების შესაძლებლობა ნაკლებ სავარაუდო არაა. პირობითი აქტივების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ ხდება, ისინი განიმარტება ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემოდინების მოლოდინი რეალურია.

ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც პირი ხდება ინსტრუმენტების საკონტრაქტო პირობების მხარე. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით. ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შესყიდვას ან გამოშვებას (მაგრამ არა მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულისას), თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას ემატება ან აკლდება. ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შესყიდვას, დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები. ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი, კლასიფიკაციის მიხედვით, თავდაპირველის შემდგომი აღიარებისას სრულად ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა: ფინანსურ აქტივს ჯგუფი ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა

არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც შემდეგ პირობებს აკმაყოფილებს, შემდგომში ფასდება სამართლიანი ღირებულებით და აისახება სხვა სრულ შემოსავალში:

- ფინანსურ აქტივს ჯგუფი ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისა და ფინანსური აქტივების გაყიდვის მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს.

ჩვეულებრივ, ყველა სხვა ფინანსური აქტივი შემდგომში ფასდება სამართლიანი ღირებულებით და აისახება მოგებაში ან ზარალში.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფიმ შეიძლება მიიღოს შემდეგი შეუქცევადი გადაწყვეტილებები:

- შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის სამართლიანი ღირებულებით ის შემდგომი ცვლილება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში; და
- ამორტიზებული ღირებულებით ან სხვა სრულ შემოსავალში ასახული სამართლიანი ღირებულებით წარმოდგენილი სავალო ინსტრუმენტი შეუქცევადად დაადგინოს, როგორც მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული, თუ ასეთი ქმედება მთლიანად აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად ამცირებს საბუღალტრო შეუსაბამობას.

წარსული გამოცდილების საფუძველზე, ყველა ფინანსურ აქტივს ჯგუფი ფლობს საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და მათ აკლასიფიცირებს პირველ ბიზნეს-მოდელში - ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით (H2C).

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი - ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლის განაწილების მეთოდი.

შესყიდული ან წარმოშობილი კრედიტგაუარესებული ფინანსური აქტივების (ანუ ისეთი ფინანსური აქტივებისა, რომელთა საკრედიტო ხარისხი გაუარესებულია უკვე თავდაპირველი აღიარებისას) გარდა, სხვა ფინანსური აქტივებისათვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდიანებების (მათ შორის არის

ყველა გადახდილი ან მიღებული საკომისიო და ქულა, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, ტრანზაქციის ხარჯებისა და სხვა პრემიუმებისა თუ ფასდათმობების განუყოფელ ნაწილს), მაგრამ არა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან თუ ეს მართებულია, უფრო მოკლე ვადაში. შესყიდული ან წარმოშობილი კრედიტგაუარესებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, კრედიტ-კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოითვლება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების, მაგრამ არა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის, დისკონტირებით საწყისი აღიარებისას დადგენილი სავალ ინსტრუმენტის ამორტიზებულ ღირებულებამდე.

ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება არის ის ღირებულება, რომლითაც ფინანსური აქტივი ფასდება თავდაპირველი აღიარებისას, ძირითადი გადახდის გამოკლებითა და კუმულატიური ამორტიზაციის დამატებით, ამ საწყის ოდენობასა და ვადის ბოლოს ოდენობას შორის არსებულ სხვაობაზე ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებითა და ზარალის რეზერვის კორექტირებით. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება არის ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება ზარალის რეზერვით კორექტირებამდე.

შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით და სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებ ით შეფასებული სავალ ინსტრუმენტების შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შესყიდული ან წარმოშობილი კრედიტგაუარესებული ფინანსური აქტივების გარდა სხვა ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი იანგარიშება ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. აღნიშნული არ ეხება იმ ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც საკრედიტო ხარისხი საწყისი აღიარების შემდგომ გაუუარესდათ. მათ შემთხვევაში საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე.

თუ შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში კრედიტგაუარესებული ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი გაუმჯობესდა და ფინანსური აქტივი აღარ ითვლება კრედიტგაუარესებულად, საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე.

შესყიდული ან წარმოშობილი კრედიტგაუარესებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, ჯგუფი საპროცენტო შემოსავალს აღიარებს კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებისას დადგენილ ამორტიზებულ ღირებულებაზე. გაანგარიშებაში მთლიანი საბალანსო ღირებულება არ გამოიყენება მაშინაც კი, როდესაც ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი შემდგომში უმჯობესდება და ფინანსური აქტივი კრედიტგაუარესებულად აღარ ითვლება.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება - სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან დადგენადი გადახდებით, რომლებიც არ კვოტირდება აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები (სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისა და სხვადასხვა კონტრაგენტზე გაცემული სესხების ჩათვლით) აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და გაუფასურების გამოკლებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რაც არ შეეხება მოკლევადიან მოთხოვნებს, სადაც დისკონტირების ეფექტი არაარსებითია.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში განთავსებულ დეპოზიტებს მოთხოვნამდე ან სამ თვემდე საწყისი ვადის დეპოზიტებს. ფული და ფულის ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვებს ყველა სავალო ინსტრუმენტისათვის აღრიცხავს ამორტიზებული ღირებულებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ხდება ორ ეტაპად. ისეთი კრედიტებისათვის, რომელთათვისაც საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ადგილი არ ჰქონია, მსზ რეზერვირდება შემდეგ 12 თვეში შესაძლებელი დეფოლტის მოვლენებით წარმოშობილი საკრედიტო ზარალისათვის (12 თვიანი მსზ). ისეთ შემთხვევაში, როდესაც საწყისი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი აუცილებელია კრედიტის არსებობის განმავლობაში დეფოლტის დროის მიუხედავად (მსზ არსებობის მანძილზე). ნაღდი ფულისა და საბანკო ნაშთების მსზ 12 თვიანია.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების შემთხვევაში, ჯგუფი მსზ-ის გამოთვლის გამარტივებულ მიდგომას იყენებს. ამდენად, ჯგუფი საკრედიტო რისკის ცვლილებას თვალს არ ადევნებს, არამედ დანაკარგების რეზერვს ანარიცხებს აღიარებს თითოეულ საანგარიშგებო დღეს მსზ არსებობის მანძილზე საფუძველზე. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე ჯგუფი მსზ-ის ოდენობას ანგარიშობს საექსპერტო შეფასებით დადგენილი ზარალის განაკვეთების გამოყენებით. საექსპერტო შეფასების გამოყენება მართებულად ჩაითვალია ისეთი ისტორიული ინფორმაციის არარსებობის გამო, რაც რეზერვირების მატრიცის შესაქმნელად იქნებოდა გამოსადეგი. გაუფასურების განაკვეთები შესაბამისი მოთხოვნის ნაშთზე მრავლდება და მიიღება ის თანხა, რომელიც აღდგენას არ ექვემდებარება.

ფინანსური აქტივი დეფოლტად ითვლება სახელშეკრულებო გადახდების 90 დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დეფოლტად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ისეთი ფინანსური აქტივი, რომელზეც, შიდა თუ გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ნაკლებ მოსალოდნელი იქნება დარჩენილი სახელშეკრულებო თანხის სრულად მიღება ჯგუფის მიერ ფლობილი კრედიტის გამამდიერებელი მექანიზმების გაუთვალისწინებლად. ამოუღებადი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოიწერილი და შემდგომში ამოღებული თანხები

მიეკუთვნება გაუფასურების ზარალის ანგარიშს, მოცემული წლის მოგების ან ზარალის მიხედვით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. ჯგუფი ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების საკონტრაქტო პირობების ვადის გასვლისას ან ამ ფინანსური აქტივისა და მის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის სხვა მხარეზე გადაცემისას. თუ ჯგუფიმ მფლობელობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც სხვა მხარეს გადასცა და არც შეინარჩუნა და კვლავაც აკონტროლებს გადაცემულ აქტივს, ჯგუფი აღიარებს მასში შენარჩუნებულ წილს და მასთან დაკავშირებულ, თანხების გადახდის პოტენციურ ვალდებულებას.

თუ ჯგუფიმ შეინარჩუნა ფინანსური აქტივის მფლობელობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, ის განაგრძობს ფინანსური აქტივის აღიარებას და აგრეთვე აღიარებს აღებული უზრუნველყოფილი სესხებიდან მიღებულ შემოსავალს.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტისას, სხვაობა, ერთი მხრივ, აქტივის საბალანსო ღირებულებასა და, მეორე მხრივ, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული და კაპიტალში დაგროვილი კუმულატიური მოგებისა ან ზარალისა და მიღებული და მისაღები ანაზღაურების ჯამს შორის, აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით ასახულად კლასიფიცირებულ სავალო ინსტრუმენტში ინვესტიციის აღიარების შეწყვეტისას, ჯამური მოგება ან ზარალი, რომელიც მანამდე დაგროვილი იყო ინვესტიციების გადაფასების რეზერვში, გადაკვალიფიცირდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

კლასიფიცირება სესხად ან წილობრივ ინსტრუმენტად

ჯგუფის მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები ფინანსურ ვალდებულებად ან წილობრივ ინსტრუმენტად კლასიფიცირდება საკონტრაქტო პირობების, ასევე ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განსაზღვრების შესაბამისად.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ცხადყოფს დარჩენილი წილის არსებობას რომელიმე პირის აქტივებში ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. ჯგუფის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება მიღებული შემოსავლით, ემისიის პირდაპირი ხარჯების გამოკლებით. ჯგუფის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ხელახალი შესყიდვა აისახება ან გამოიქვითება პირდაპირ კაპიტალიდან. ჯგუფის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ყიდვისას, გაყიდვისას, ემისიისას თუ გაუქმებისას მოგების ან ზარალის ასახვა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში არ ხდება.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც წარმოდგენილია ნასესხები სახსრებისა და სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებით, შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფის ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან ვადა გასდის. სხვაობა აღიარება-შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური გარანტიის კონტრაქტის ვალდებულება

ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება არის კონტრაქტი, რომელიც მოითხოვს ემიტენტისგან განსაზღვრული გადასახადების გადახდას მფლობელს ზარალის ანაზღაურებისთვის, რომელიც მას მიადგა იმის გამო, რომ მითითებული მოვალე ვერ ახორციელებს გადახდებს ვადის გასვლისას სასესხო ინსტრუმენტის პირობების შესაბამისად.

ფინანსური გარანტიის კონტრაქტის ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და თუ არ არის მიჩნეული FVTPL-დ და არ წარმოიქმნება აქტივის გადაცემიდან, შემდგომში აღიარდება მათ შორის უმაღლესი ღირებულებით:

- ფასს 9-ის შედეგად განსაზღვრული გაუფასურების თანხით (იხილეთ ფინანსური აქტივები ზემოთ);
- თავდაპირველად აღიარებულ თანხა კუმულაციური ამორტიზაციის გამოკლებით, რომელიც აღიარებულია ზემოთ ჩამოთვლილი შემოსავლების აღიარების პოლიტიკის შესაბამისად.

როდესაც ვალდებულება ჩნდება ერთობლივი კონტროლის ქვეშ მყოფ მხარეებთან ტრანზაქციებისას ანაზღაურების გარეშე, ამოღებული ვალდებულების სამართლიანი ღირებულება უნდა იყოს აღიარებული, როგორც კაპიტალის შენატანი კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში.

ფინანსური გარანტიის კონტრაქტებისთვის თარიღი, როდესაც კომპანია ხდება შეუქცევადი ვალდებულების მხარე, ითვლება პირველადი აღიარების თარიღად ფინანსური ინსტრუმენტის გაუფასურების შეფასების მიზნით. ფინანსური გარანტიის ხელშეკრულების თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი მატების შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს რისკში არსებულ ცვლილებებს, რომ მოვალე შესაძლოა, გადაეფოლტდეს.

შეტანილი კაპიტალი. საწესდებო კაპიტალი აღიარდება ჯგუფის მიერ მიღებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

სხვა განაწილება. განაწილებები აღიარდება კაპიტალში, როდესაც კომპანია შეუქცევად ვალდებულებას იღებს, გადასცეს ფულადი სახსრები ან არაფულადი აქტივები თავის აქციონერს/საბოლოო აქციონერს და ვალდებულების ოდენობის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი.

წინასწარ გადახდილი გადასახადები. წინასწარ გადახდილი გადასახადები აისახება ნომინალური ღირებულებით, შეფასებული აღუდგენელი თანხების რეზერვის გამოკლებით. მოგების გადასახადისგან განსხვავებული გადასახადები აისახება ნომინალური ღირებულებით. საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები გროვდება ერთიან საგადასახადო ანგარიშზე საქართველოს შემოსავლების სამსახურში. ანგარიშსწორება ხორციელდება ნეტო საფუძველზე.

გადახდილი ავანსები. მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით აღუდგენადი შეფასებული თანხების ანარიცხების გამოკლებით.

4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და მოსაზრებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებასთან დაკავშირებით

სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, რომლებიც აღწერილია შენიშვნაში #2, ხელმძღვანელობას ევალება შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს. რეალური შედეგები შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

გადასახადები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს სხვადასხვა ინტერპრეტაციისა და ხშირი ცვლილების შესაძლებლობა. გარდა ამისა, ტრანზაქციათა შეფასება საგადასახადო ორგანოებისა და ხელმძღვანელობის მხრიდან შეიძლება ერთმანეთს არ დაემთხვეს და ტრანსაქციები საგადასახადო ორგანოებმა ეჭვქვეშ დააყენოს. ამის გამო ჯგუფის შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. საგადასახადო შემოწმებისათვის ღიაა 3 წელი. 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რეზერვები არ შექმნილა.

ძირითადი საშუალებების და ბიოლოგიური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. ჯგუფი გადახედავს ძირითადი საშუალებების და ბიოლოგიური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში ჯგუფის არ შეუცვლია ძირითადი საშუალებების და ბიოლოგიური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები.

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება ჯგუფი პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, ჯგუფი აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის ჯგუფი აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს ფინანსური აქტივების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი და საიჯარო გადასახდელები ჯგუფი იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება.

ჯგუფი ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელობანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

ჯგუფი იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი,

რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური საიჯარო გადახდების შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმისგან, რაც წარდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური გარანტიის ვალდებულების შეფასება - ფასს 9-ის მიხედვით ფინანსური გარანტიის კონტრაქტი თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში იზომება მათ შორის უმაღლესით: 1) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხა და 2) თავდაპირველად აღიარებულ თანხა კუმულაციური ამორტიზაციის გამოკლებით. გარანტიის საწყისი სამართლიანი ღირებულება შეფასდა საგარანტიო საკომისიოს წლიური შეფასებით, რომელსაც გადაიხდიდა მესამე მხარე საბაზრო პირობებში ტრანზაქციის განხორციელებისას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ძირითადი სავალო ინსტრუმენტების 12-თვიანი დეფოლტის ალბათობის (PD) გამოყენებით. სამართლიანი ღირებულება შემცირებული აღიარებული შემოსავლის კუმულაციური თანხით აღემატებოდა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში - გარანტიის კონტრაქტის მიხედვით, თუ მსესხებელმა ვერ დაფარა სესხი, გარანტორები ვალდებულები არიან სრულად დაფარონ დარჩენილი სესხის ნაშთის 100%, დარიცხული პროცენტი, ჯარიმები, საკომისიო და ნებისმიერი წარმოშობილი ფინანსური ვალდებულება. შესაბამისად, ჯგუფიმ LGD და EAD განაკვეთები განსაზღვრა როგორც 100%.

დეფოლტის ალბათობა - გარანტიის მიმღები (სხვა დაკავშირებული მხარე) არ არის შეფასებული მუდისა ან ფიტჩის მიერ, შესაბამისად, ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, გამოეყენებინა უმაღლესი PD განაკვეთი - 8.37%, 8.83% (PD განაკვეთები კორპორატიული ემიტენტებისთვის, რომლებიც შეფასდა ყველაზე დაბალი რეიტინგით - “Ca-C” მუდის ინვესტორების მომსახურების მიხედვით) 2022 და 2021 წლებისთვის, შესაბამისად.

ჯგუფი მეღვინეობა ხარება

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

5. ამონაგები

	2022	2021
ამონაგები სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდებიდან	32,763	33,231
სხვა საოპერაციო შემოსავალი	5,579	2615
სულ	38,342	35,846

6. ამონაგების თვითღირებულება

ამონაგების თვითღირებულება შედგება ხელფასის და მასთან დაკავშირებული
დანახარჯების, ცვეთის, მარაგების და სხვა ზედანდები ხარჯებისგან.

ჯგუფი მეღვინეობა ხარება

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

7. სოფლის მეურნეობის პროდუქტის საწყისი აღიარება

ცხრილი გვიჩვენებს შემოსავალს სოფლის მეურნეობის პროდუქტის საწყისი აღიარებიდან სოფლის მეურნეობის პროდუქტის სახეობების მიხედვით.

	2022		2021	
	ტონა	ღირებულება	ტონა	ღირებულება
ყურძენი				
საფერავი	2,489	4,052	3,641	5,420
რქაწითელი	1,483	1,498	1,703	1,629
ციცქა	245	738	453	772
კრახუნა	133	472	-	-
მწვანე	387	393	454	449
მუჯურეთული	30	209	37	262
ცოლიკოური	33	101	0	0
ქისი	189	263	150	149
უსახელოური	12	153	24	244
ოჯალეში	33	260	32	255
კაბერნე	91	140	56	53
ხიხვი	55	109	58	57
სხვა	136	857	646	1,069
სულ	5,316	9,245	7,254	10,359

ცხრილი გვიჩვენებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯებს.

	2022	2021
ხელფასის ხარჯი	4,843	5,669
დამხმარე მასალების ჩამოწერა და სხვა მომსახურებები	1,260	3,422
ცვეთა და ამორტიზაცია	826	879
სულ	6,929	9,970

ჯგუფი მეღვინეობა ხარება

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

8. გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები

	2022	2021
ხელფასები და მათთან დაკავშირებული ხარჯები	1,937	1808
მარკეტინგისა და რეკლამის ხარჯი	1,308	640
ტრანსპორტირების ხარჯი	400	381
ცვეთა და ამორტიზაცია	269	564
მოკლევადიან იჯარასთან დაკავშირებული ხარჯები	346	90
სხვა მიწოდების ხარჯი	462	298
სულ	4,722	3,781

9. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
ხელფასები და მათთან დაკავშირებული ხარჯები	4,675	2,567
ცვეთა და ამორტიზაცია	1,660	743
საგადასახადო ხარჯი	738	793
კომუნალურის და კომუნიკაციების ხარჯი	1,469	323
პროფესიული მომსახურების ხარჯი	435	332
ტრანსპორტირების ხარჯი	794	381
მოკლევადიან იჯარასთან დაკავშირებული ხარჯები	355	-
რემონტის ხარჯი	125	180
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	926	1,288
სულ	11,177	6,607

ჯგუფი მეღვინეობა ხარება

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

10. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	ოფისის დანადგარები, აღჭურვილობა და ავეჯი	დანადგარები და სოფლის მეურნეობის ტექნიკა	მშენებარე აქტივები	ავტოტრანსპორტი	სულ
ისტორიული ღირებულება							
31 დეკემბერი 2021	16,424	23,442	2,720	38,926	3,569	6,263	91,344
შემოსვლა	658	47	110	4,110	6,685	303	11,913
სესხის კაპიტალიზაცია	-	-	1	-	1,177	361	1,539
გასვლა	-	(57)	(16)	(668)	(3)	(414)	(1,158)
31 დეკემბერი 2022	17,082	23,432	2,815	42,368	11,428	6,513	103,638
დაგროვილი ცვეთა							
31 დეკემბერი 2021	-	(2,301)	(1,359)	(6,889)	-	(1,821)	(12,370)
პერიოდის ცვეთა	-	(796)	(331)	(2,394)	-	(496)	(4,017)
გასვლა	-	11	4	72	-	273	360
31 დეკემბერი 2022	-	(3,086)	(1,686)	(9,211)	-	(2,044)	(16,027)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2021	16,424	21,141	1,361	32,037	3,569	4,442	78,974
31 დეკემბერი 2022	17,082	20,346	1,129	33,157	11,428	4,469	87,611

ჯგუფის ძირითადი საშუალებები დაგირავებულია კომერციული ბანკებიდან ნასესხები სახსრების და თავდებობის საფუძველს (იხ. შენიშვნა 18 და 20).

ჯგუფი მეღვინეობა ხარება

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათას ქართულ ლარში)

11. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

ჯგუფის საიჯარო ხელშეკრულებები, რომლისთვისაც აღიარებულია აქტივების გამოყენების უფლება, მოიცავს მიწის, კომერციული ფართის, აღჭურვილობა და დანადგარების და სატრანსპორტო საშუალებების იჯარებს. მიწის იჯარა მიღებულია დაკავშირებული მხარისგან, რომელზეც გაშენებულია ვენახები. მიწების იჯარის ვადის შეფასებისთვის ჯგუფი იყენებს ვენახების სასარგებლო მომსახურების ვადას - 45 წელს.

ჯგუფის აღჭურვილობა და დანადგარების და სატრანსპორტო საშუალებები იჯარით აქვს აღებული სს თიბისი ლიზინგისგან, რომელთა იჯარის სახელშეკრულებო პერიოდი მოიცავს 5 წელს. სახელშეკრულებო პერიოდის დასრულების შემდეგ საიჯარო გადასახდელების სრულად გადახდის შემთხვევაში იჯარის ობიექტზე საკუთრების უფლება გადაეცემა ჯგუფის. დარჩენილი სატრანსპორტო საშუალებები იჯარით არის აღებული დაკავშირებული მხარიდან და იჯარის ვადა მოიცავს 3-5 წელს.

დისკონტის განაკვეთი მიწის, კომერციული ფართის და სატრანსპორტო საშუალებების იჯარისთვის წარმოადგენს ზღვრულ სასესხო განაკვეთს. ჯგუფის არ გააჩნია მსგავსი მახასიათებლების მქონე მიღებული სესხები მიმდინარე ან შესადარის პერიოდში. ზღვრული სასესხო პროცენტის განსაზღვრისთვის გამოიყენა დაკვირვებადი საბაზრო მონაცემები მსგავსი სექტორისთვის. სალიზინგო კომპანიიდან იჯარით აღებული აღჭურვილობა - დანადგარებისთვის და სატრანსპორტო საშუალებების იჯარებისთვის დისკონტის განაკვეთად აღებულია ხელშეკრულებაში ნაგულისხმები განაკვეთი. ცხრილი გვიჩვენებს აქტივის გამოყენების უფლების მოძრაობას.

აქტივის გამოყენების უფლება	მიწა	კომერციული ფართი	მანქანა-დანადგარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2021	1,283	213	1,162	1,229	-	3,887
დამატება	850	-	1,239	432	-	2,521
ცვეთა	(105)	(71)	(287)	(325)	-	(788)
იჯარის შეწყვეტა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	2,028	142	2,114	1,336	-	5,620

	მიწა	კომერციული ფართი	მანქანა-დანადგარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
31/12/2021	1,347	246	712	1,150	-	3,455
დამატება	850	-	1,239	409	-	2,498
საპროცენტო ხარჯი	274	32	185	153	-	644
გადახდა	(303)	(97)	(784)	(459)	-	(1,643)
იჯარის შეწყვეტა	-	-	-	-	-	-
გადაფასება	-	-	26	(90)	-	(64)
31/12/2022	2,168	181	1,377	1,163	-	4,889

ჯგუფი მეღვინეობა ხარება

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათას ქართულ ლარში)

ჯგუფმა გააფორმა ხელშეკრულება სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსთან ("APMA"), რომლის თანახმად, APMA აფინანსებს თიბისი ლიზინგისთვის გადასახდელ პროცენტის ნაწილს.

APMA-დან მიღებული შემოსავალი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში კლასიფიცირდება როგორც საგრანტო შემოსავალი.

12. ბიოლოგიური აქტივები

ისტორიული ღირებულება	ექსპლუატაციაში შესული ვენახები	მზარდი ვენახები	ექსპლუატაციაში შესული ხილის ბაღი	მზარდი ხილის ბაღი	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2021	7,566	1,001	4	2,904	303	11,778
შემოსვლა	-	2,141	-	296	73	2,510
სესხის დანახარჯი	-	153	-	192	-	345
გასვლა	(114)	-	-	(41)	(44)	(199)
ექსპლუატაციაში შესვლა	1,661	(1,661)	1	(1)	-	-
31 დეკემბერი 2022	9,113	1,634	5	3,350	332	14,434
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი 2021	(1,048)	-	-	-	-	(1,049)
ცვეთა	(310)	-	-	-	-	(310)
გასვლა	14	-	-	-	-	14
31 დეკემბერი 2022	(1,344)	-	-	-	-	(1,345)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2021	6,518	1,001	4	2,904	303	10,729
31 დეკემბერი 2022	7,769	1,634	5	3,350	332	13,089

ჯგუფი მეღვინეობა ხარება

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათას ქართულ ლარში)

13. მარაგები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
დაუმთავრებელი წარმოება	26,595	25,961
მზა პროდუქცია	2,571	6,564
ნედლეული და მასალები	12,645	4,792
სხვა მარაგები	3,569	4,117
სულ	45,380	41,434

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგები არ წარმოადგენდა უზრუნველყოფას და აღრიცხული იყო ღირებულებასა და წმინდა გასაყიდ ფასს შორის უმცირესით.

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მარაგებთან დაკავშირებულმა ხარჯებმა შეადგინა 24,056 ლარი, შესაბამისად.

14. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	9,928	5,362
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(5,394)	(1,652)
სავაჭრო დებიტორული დავალიანება, წმინდა	4,534	3,576

აღიარებული გაუფასურება წარმოადგენს სხვაობას ამ სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი შემოსავლების მიმდინარე ღირებულებას შორის. ჯგუფი ამ ნაშთებზე რაიმე სახის უზრუნველყოფას არ ფლობს. 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ტოპ 10 კლიენტი შეადგენს დებიტორული დავალიანების 86%-სა და 80%-ს.

ჯგუფი მეღვინეობა ხარება

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათას ქართულ ლარში)

ანალიზი სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების ვადიანობის მიხედვით:

31 დეკემბერი 2022	30 დღეზე ნაკლები		31-90	90-ზე მეტი	სულ
	არავადაგადა ცილებული	ვადაგადაცილებ ა	ვადაგადაცილებ ბა	ვადაგადაცი ლება	
მთლიანი თანხა	2,301	2,004	770	4,981	10,056
მსზ სიცოცხლის მანძილზე	(12)	(158)	(243)	(4,981)	(5,394)
%	-1%	-8%	-32%	-100%	-54%

31 დეკემბერი 2021	30 დღეზე ნაკლები		31-90	90-ზე მეტი	სულ
	არავადაგადა ცილებული	ვადაგადაცილებ ა	ვადაგადაცილებ ბა	ვადაგადაცი ლება	
მთლიანი თანხა	1,926	367	331	2,738	5,362
მსზ სიცოცხლის მანძილზე	(22)	(21)	(57)	(1,552)	(1,652)
%	-1%	-6%	-17%	-60%	-32%

ჯგუფი სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების ზარალის რეზერვს ყოველთვის აფასებს მთელი სასიცოცხლო ვადის მსზ-ის ოდენობის თანხით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაზე ფასდება დებიტორის დეფოლტის წარსული გამოცდილებითა და დებიტორის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის ანალიზით, რომელიც

დებიტორისთვის სპეციფიური ფაქტორებითა და მისი დარგის ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობით კორექტირდება. მხედველობაში მიიღება აგრეთვე ანგარიშგების თარიღში ვითარების საპროგნოზო მიმართულება და არსებული ვითარება. ჯგუფიმ 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მქონე ყველა ჯგუფურად შეფასებული მოთხოვნის ზარალის რეზერვი 100%-ით შეფასა, რადგან ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ეს მოთხოვნები ამოღებას აღარ ექვემდებარება.

ქვემოთ მოცემულია მსზ, არსებობის მანძილზე მოძრაობა, რომლის აღიარებაც მოხდა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისთვის ფასს 9-ში წარმოდგენილი გამარტივებული მიდგომის შესაბამისად.

	მსზ მოძრაობა
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	1,652
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაუფასურების ხარჯი	3,742
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	5,394

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკონტრაქტო ვალდებულება იყო, 490 ლარი და 1,332 ლარი, შესაბამისად.

ჯგუფი მელვინეობა ხარება

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათას ქართულ ლარში)

პერიოდის ბოლოს აღიარებული საკონტრაქტო ვალდებულებიდან ამონაგები
მიღებულია შემდეგ პერიოდში.

15. გადახდილი ავანსები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	588	1,245
სხვა აქტივები	-	116
სულ მოკლევადიანი გადახდილი ავანსები	588	1,193
ძირითად საშუალებებზე და ბიოლოგიურ აქტივებზე გადახდილი ავანსები	3,205	1,578
სულ გრძელვადიანი გადახდილი ავანსები	3,205	1,578
სულ გადახდილი ავანსები	3,793	2,993

16. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ნაღდი ფული სალაროში	52	148
ნაღდი ფული სალაროში	1,589	2,875
სულ	1,641	3,023

ბანკში განთავსებული არც ერთი ნაშთი ვადაგადაცილებული არ არის. მათზე ზარალის
რეზერვის აღიარება არ მომხდარა მათი მოკლევადიანი ბუნებიდან გამომდინარე.
საბანკო ნაშთებში შედის საქართველოში, ბანკებში მოქმედი მიმდინარე ანგარიშები და
ისინი გამოიყენება ჯგუფის ყოველდღიური საქმიანობის დასაფინანსებლად. 2022 და
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ბანკებში განთავსებული ნაღდი
ფულის უმეტესობა განთავსებულია „ფიტჩ რეიტინგის“ მიერ მოკლევადიანი B და
გრძელვადიანი BB- რეიტინგის მქონე ბანკებში.

ჯგუფი მეღვინეობა ხარება

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათას ქართულ ლარში)

17. საწესდებო კაპიტალი და არამაკონტროლებელი წილი

2022 და 2021 წლის განმავლობაში კაპიტალში შევიდა 469 ლარი და 282 ლარი, შესაბამისად.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეტანილმა და ანაზღაურებულმა კაპიტალმა შეადგინა 108,759 ლარი და 108,290 ლარი, შესაბამისად.

ცხრილი გვიჩვენებს არამაკონტროლებელ წილებს 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

დასახელება	ფლობის წილი 31 დეკემბერი 2022	ფლობის წილი 31 დეკემბერი 2021
შპს „საქართველოს მარანი“	42%	42%
შპს „ვაჩნაძიანი“	5%	5%
ფ.პ. ნაირა ასპანიძე	0.5%	0.5%
ფ.პ ვახტანგ ლიპარტელიანი	0.3%	0.3%

შპს „მეღვინეობა ხარება“ (204457328) წარმოადგენს ჰოლდინგურ კომპანიას და არ აქვს ოპერაციები, შესაბამისად წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ანგარიშგებები სრულად წარმოადგენს შპს „მეღვინეობა ხარება“-ში (ს/ნ 404427928) არსებული აქტივებს, ვალდებულებებსა და ტრანზაქციებს.

18. ნასესხები სახსრები

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, დასაფარი ნასესხები სესხების პირობები იყო შემდეგი:

ნასესხები სახსრები:	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	9,987	5,613
სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან	47,375	35,307
სესხები სხვა მხარისგან	-	1,945
სულ	57,362	42,865

ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები უზრუნველყოფილია ჯგუფის ძირითადი საშუალებებით (იხ. შენიშვნა 10). ჯგუფმა გააფორმა ხელშეკრულება სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსთან („APMA“), რომლის თანახმად, APMA აფინანსებს ფინანსური ინსტიტუტის სესხის პროცენტიდან ნაწილს. თანადაფინანსების

ჯგუფი მეღვინეობა ხარება

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათას ქართულ ლარში)

ხანგრძლივობაა 66 თვე. APMA-დან მიღებული შემოსავალი 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში შეადგენს 1,271 ლარს, შესაბამისად, და კლასიფიცირდება როგორც საგრანტო შემოსავალი.

სესხების მოძრაობა 2022 წლის განმავლობაში იყო:

	2022
საწყისი ნაშთი	42,865
ძირის ცვლილება	20,664
პროცენტის დარიცხვა	2,478
პროცენტის გადახდა	(1,735)
მოდIFIკაციის მოგება	-
საკურსო სხვაობა	(6,910)
საბოლოო ნაშთი	57,362

19. საგაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
კრედიტორული დავალიანება	9,630	8,119
გადასახდელი ხელფასები	823	268
სხვა ვალდებულებები	-	135
სულ	10,453	8,522

20. ფინანსური გარანტიის ვალდებულება

ჯგუფმა 2020 წლის 10 ნოემბერს ხელი მოაწერა საგრანტო შეთანხმებას ფინანსურ ინსტიტუტთან. ხელშეკრულების საგანი იყო დაკავშირებული მხარეების სესხების გარანტიის როლის შესრულება სხვა თავმდებებთან ერთად. გარანტიის ლიმიტმა მთლიანობაში შეადგინა 30,000 აშშ დოლარი.

ჯგუფის არ მიუღია რაიმე პრემია გაცემული ხელშეკრულებისთვის, შესაბამისად, სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მეთოდით, რომელიც რაოდენობრივად ასახავს გარანტიის ეკონომიკურ სარგებელს მფლობელისთვის. საგრანტო ხელშეკრულების დადებისას განაკვეთი შეადგენდა 2.5%-ს, რის შედეგადაც ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 26,737 ლარის ფინანსური გარანტიის ვალდებულება იქნა აღიარებული.

ჯგუფი მეღვინეობა ხარება

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათას ქართულ ლარში)

საანგარიშო პერიოდის ბოლოს, ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა გარანტიის ქვეშ არსებული დავალიანების ვადაგადაცილების მდგომარეობა, მოვალეების ფინანსური მდგომარეობა და იმ ინდუსტრიების ეკონომიკური პერსპექტივა, რომლებშიც მოვალეები ოპერირებენ და დაასკვნა, რომ ფინანსური გარანტიის ხელშეკრულების პირველადი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა არ ყოფილა. შესაბამისად, ჯგუფის მიერ გაცემული ფინანსური გარანტიის ხელშეკრულების ზარალის ოდენობა ფასდება Moody's-ის საკრედიტო სააგენტოს გამოქვეყნებული არარეიტინგული კომპანიებისთვის 12 თვიანი ECL განაკვეთის გამოყენებით.

ამ ფინანსური ინსტრუმენტების ზარალის რეზერვის შეფასებისას არ მომხდარა ცვლილება შეფასების ტექნიკაში ან მნიშვნელოვან დაშვებებში, რომლებიც გაკეთებულია მიმდინარე საანგარიშო პერიოდში. ორივე წელს ზარალის რეზერვის ოდენობა უფრო დაბალია, ვიდრე პრემიას გამოკლებული კუმულაციური ამორტიზაცია, შესაბამისად, მოგება-ზარალში არ იქნა აღიარებული ფინანსური გარანტიის ხელშეკრულების ზარალის რეზერვი.

ფინანსური გარანტიის ვალდებულების მოძრაობა 2022 და 2021 წლებში იყო შემდეგი:

	ლარი
2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	26,204
მოგება-ზარალის ეფექტი	(2,053)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	24,151
ფინანსური შემოსავალი	(580)
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება, წმინდა	(3,084)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	20,487

21. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს აქციონერებს, მეკავშირე საწარმოებს, ჯგუფის ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ ერთეულებს და ძირითადი მმართველი პესონალის შემადგენლობას. დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ ისეთ გარიგებებში შესვლა, რომლებსაც არადაკავშირებული პირები ვერ განახორციელებენ. დაკავშირებულ მხარეებს შორის ტრანზაქციები ხორციელდება სხვა შემთხვევებისგან განსხვავებული პირობებით. თითოეული შესაძლო მხარის ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება გამახვილებულია ურთიერთობის არსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე. ჯგუფის ჰქონდა შემდეგი ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან:

ჯგუფი მეღვინეობა ხარება

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათას ქართულ ლარში)

31 დეკემბერი 2022					
	მფლობელი ფიზიკური პირი	მშობელი კომპანია	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ	სხვა	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	729	1,216	2,097	411	4,453
მსზ	(629)	(1,215)	(1,692)	(85)	(3,621)
გადახდილი ავანსები	-	-	42	-	42
ნასესხები სახსრები	341	2,563	3,531	3,553	9,988
ფინანსური გარანტიის ვალდებულება	-	-	20,487	-	20,487
საიჯარო ვალდებულება	226	-	3,358	-	3,584
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31	-	1,135	-	1,166

2022					
	მფლობელი ფიზიკური პირი	მშობელი კომპანია	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ	სხვა	სულ
ამონაგები	103	588	3,724	-	4,415
ფინანსური შემოსავალი	-	-	588	-	588
ფინანსური ხარჯი	58	-	213	-	271

31 დეკემბერი 2021					
	მფლობელი ფიზიკური პირი	მშობელი კომპანია	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ	სხვა	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18	-	3,069	-	3,087
მსზ	(16)	-	(1,162)	-	(1,179)
ნასესხები სახსრები	-	-	4,842	-	4,842
ფინანსური გარანტიის ვალდებულება	-	-	24,151	-	24,151
საიჯარო ვალდებულება	637	-	1,997	-	2,664
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	-	4,022	-	4,030

2021					
	მფლობელი ფიზიკური პირი	მშობელი კომპანია	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ	სხვა	სულ
ამონაგები	174	-	1,733	-	1,907
ფინანსური ხარჯი	59	-	224	-	283

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ, 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში შეადგინა 256 ლარი და 379 ლარი, შესაბამისად.

22. ფინანსური ინსტრუმენტები

ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით. სამართლიანი ღირებულების შეფასება ანალიზდება სამართლიანი ღირებულების იერარქიაში დაკავებული დონით:

(1) პირველი დონე არის შეფასება კვოტირებული ფასებით (არაკორექტირებული) იდენტური აქტივებისა თუ ვალდებულებების აქტიურ ბაზრებზე, (2) მეორე დონის შეფასება არის შეფასების ტექნიკა, სადაც ყველა მნიშვნელოვან მონაცემზე დაკვირვება აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში შესაძლებელია პირდაპირ (ანუ ფასებით) ან ირიბად (ანუ ფასების გავლით), და (3) მესამე დონის შეფასება არის ისეთი შეფასება, რომელიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ არადაკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიზაციისას იყენებს სამართლიანი ღირებულების იერარქიაზე დაფუძნებულ შეფასებებს. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებულია დაკვირვებადი მონაცემები, რომლებსაც მნიშვნელოვნად კორექტირება ესაჭიროება, ეს შეფასება მესამე დონისაა. შესაფასებელი მონაცემის მნიშვნელობა დგინდება სამართლიანი ღირებულების შეფასებით მთლიანობაში. ფულისა და ფულის ექვივალენტების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა პირველი დონის მონაცემებით, ხოლო სხვა ფინანსური აქტივებისა და ღირებულებისა - მესამე დონის მონაცემებით.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული სამართლიანი ღირებულება ეფუძნება მოსალოდნელ, სამომავლო ფულადი სახსრების მოძრაობას, რომელიც დისკონტირდება ახალი, მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადიანობის მატარებელი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით. დისკონტირების განაკვეთი დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების და სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები, ამ ინსტრუმენტების მოკლევადიანობის გამო, სამართლიან ღირებულებასთანაა მიახლოებული.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. მითითებული ვადიანობის ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება გამოთვლილ იქნა მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადიანობის ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მათს სამართლიან ღირებულებებთანაა მიახლოებული, გარდა ნასესხები სახსრებისა. ნასესხები სახსრების სამართლიანი ღირებულება 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 48,266 ლარს და 38,125 ლარს შესაბამისად.

ჯგუფი მელვინეობა ხარება

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათას ქართულ ლარში)

კაპიტალის რისკის მართვა - ჯგუფი კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეძლოს მოქმედი საწარმოს სტატუსის შენარჩუნება და, ამავდროულად, მოწილეთა უკუგება მაქსიმალურად გაიზარდოს სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზებით. ჯგუფის ხელმძღვანელობა კაპიტალის სტრუქტურას რეგულარულად მიმოიხილავს. შემოწმების შედეგებზე დაყრდნობით, ჯგუფი აბალანსებს კაპიტალის ზოგად სტრუქტურას კაპიტალში შენატანებით, ახალი სესხების აღებით თუ ძველი სესხების დაბრუნებით.

გაანგარიშების კოეფიციენტი საანგარიშო პერიოდის ბოლოს იყო შემდეგი:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ნასესხები სახსრები	57,362	42,865
ფული და ფულის ექვივალენტები	(1,641)	(3,023)
წმინდა ნასესხები სახსრები	55,721	39,842
კაპიტალი	67,133	64,320
წმინდა ვალი საკუთარი კაპიტალის მიმართ	0.83	0.62

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები - ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს ნასესხებ სახსრებსა და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი დანიშნულებაა ჯგუფის ოპერაციების დაფინანსება. ჯგუფის სხვადასხვა ფინანსური აქტივები გააჩნია, როგორებიცაა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება და ფული და ფულის ექვივალენტები.

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	1,641	3,023
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	4,534	3,710
გაცემული სესხები	-	-
სულ ფინანსური აქტივები	6,175	6,733
	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფინანსური ვალდებულებები		
ნასესხები სახსრები	57,362	42,865
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	10,453	8,522
საიჯარო ვალდებულება	4,890	3,455
ფინანსური გარანტიის ვალდებულება	20,487	24,151
სულ ფინანსური ვალდებულებები	93,192	78,993

ჯგუფი მეღვინეობა ხარება

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათას ქართულ ლარში)

ჯგუფის ფინანსურ ინსტრუმენტებზე მოქმედი ძირითადი რისკებია სავალუტო, საპროცენტო განაკვეთის, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები.

გეოგრაფიული რისკი. ჯგუფის აქტივები ძირითადად საქართველოში მდებარეობს და მისი ბიზნეს-გეგმები კრიტიკულადაა დამოკიდებული ქვეყანაში სტაბილურობასა და წესრიგზე. ქვეყანა განაგრძობს განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლების ჩვენებას. ამგვარად, ჯგუფი ექვემდებარება საქართველოში არსებული ბიზნეს გარემოს გაუარესების რისკებს.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები 1,196 ლარისა და 1,591 ლარის ოდენობით, განთავსებულია არა-ეთგო და ეთგო ქვეყნებში შესაბამისად. სხვა ფინანსური აქტივები განთავსებულია საქართველოში. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნასესხები სახსრები 6,115 ლარის ოდენობით განთავსებულია ეთგო ქვეყნებში, ხოლო 28 ლარის ოდენობის სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება არა-ეთგო ქვეყნებში.

სავალუტო რისკი - სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე უარყოფით ზეგავლენას იქონიებს იმ ვალუტის გაცვლითი კურსების ცვლილება, რომლითაც

ჯგუფი სარგებლობს. ჯგუფის ზოგიერთი ტრანზაქცია უცხოურ ვალუტაშია დაფიქსირებული. უცხოური ვალუტის რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებული ინსტრუმენტები არ გამოიყენება.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები შემდეგია:

	31 დეკემბერი 2022	
	აშშ დოლარი 1 = 2.7020 ლარი	ევრო 1 = 2.8844ლარი
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	1	2
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	1,937	846
სულ ფინანსური აქტივები	1,938	848
ფინანსური ვალდებულებები		
ნასესხები სახსრები	6,115	30,200
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	150	845
საიჯარო ვალდებულება	-	373
ფინანსური გარანტიის ვალდებულება	20,487	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	26,752	31,418
წმინდა პოზიცია	(24,814)	(30,570)

ჯგუფი მეღვინეობა ხარება

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათას ქართულ ლარში)

31 დეკემბერი	
აშშ დოლარი 1 = 3.0976 ლარი	ევრო 1 = 3.504 ლარი
ფინანსური აქტივები	
ფული და ფულის ექვივალენტები	39 -
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	481 1,481
სულ ფინანსური აქტივები	520 1,481
ფინანსური ვალდებულებები	
ნასესხები სახსრები	2,381 22,736
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	262 115
საიჯარო ვალდებულება	- 446
ფინანსური გარანტიის ვალდებულება	24,151 -
სულ ფინანსური ვალდებულებები	26,794 23,297
წმინდა პოზიცია	(26,274) (21,816)

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის საკურსო სხვაობის წმინდა მოგება შეადგენდა 9,703 ლარს და 2,739 ლარს, შესაბამისად.

შემდეგ ცხრილში ნაჩვენებია ჯგუფის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის კურსის 20%-იანი მერყეობის შემთხვევაში 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს საანგარიშგებო დღეს უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებულ ფულად კომპონენტებს:

31 დეკემბერი 2022	აშშ დოლარის ეფექტი		ევროს ეფექტი	
	ლარი/ აშშ დოლარი + 20%	ლარი/ აშშ დოლარი + 20%	ლარი/ევრო + 20%	ლარი/ევრო - 20%
მოგება/(ზარალი)				
გადასახადამდე	(4,963)	4,963	(6,114)	6,114
1 იანვარი 2022				
	აშშ დოლარის ეფექტი		ევროს ეფექტი	
	ლარი/ აშშ დოლარი + 20%	ლარი/ აშშ დოლარი + 20%	ლარი/ევრო + 20%	ლარი/ევრო - 20%
მოგება/(ზარალი)				
გადასახადამდე	(5,255)	5,255	(4,363)	4,363

საპროცენტო განაკვეთის რისკი – საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ცვლადი საპროცენტო განაკვეთის ცვლილება უარყოფითად აისახება ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე. ჯგუფიზე საპროცენტო განაკვეთის შეზღუდული რისკი ვრცელდება, რადგან იგი სახსრებს სესხულობს მხოლოდ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებით. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობისთვის ჯგუფი დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც ჯგუფის გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები. 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მიერ აღებული ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი სესხები საბალანსო ღირებულება შეადგენს შესაბამისად 31,170 ლარს და 33,798 ლარს. ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არაწარმოებული ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების მიმართ არსებული რისკის საფუძველზე. ცვალებადი განაკვეთის ვალდებულებების შეთხვევაში, ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ვალდებულების თანხა მთელი წლის განმავლობაში დაუფარავი იყო.

2022 წლის 31 დეკემბრის და საპროცენტო განაკვეთის 20%-იანი ცვლილება გამოიწვევს საპროცენტო ხარჯის 118 ლარით ცვლილებას.

მგრძნობელობის ანალიზის შეზღუდვები

ზემოთ მოცემული ცხრილები ასახავს ერთი, ძირითადი დაშვების ცვლილების ეფექტს, როდესაც სხვა დაშვებები უცვლელია. სინამდვილეში, აღნიშნულ დაშვებებსა და სხვა ფაქტორებს შორის რეალური კორელაცია არსებობს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული მგრძნობიარობა არაწრფივია და შედეგებიდან უფრო დიდი ან მცირე ზეგავლენის ინტერპოლირება ან ექსტრაპოლირება არ შეიძლება.

მგრძნობელობის ანალიზში არ არის გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები აქტიურად იმართება. გარდა ამისა, ბაზრის რეალური მოძრაობის სხვადასხვა მომენტში ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მაგალითად, ჯგუფის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს ბაზრის რყევის ზემოქმედების მართვას. როდესაც საინვესტიციო ბაზარი სხვადასხვა მანიშნებელ დონეს ცილდება, ხელმძღვანელობას შეუძლია გაყიდოს ინვესტიციები, შეცვალოს საინვესტიციო პორტფელის გადანაწილება და სხვა დამცავი ზომები მიიღოს. შედეგად, დაშვების ცვლილებას რეალურად შეიძლება ეფექტი არც ჰქონდეს ვალდებულებებზე, მაშინ, როდესაც აქტივები ბალანსზე საბაზრო ღირებულებითაა ასახული. ასეთ ვითარებაში, ვალდებულებებისა და აქტივების გაზომვის სხვადასხვა მეთოდმა შეიძლება აქციონერთა კაპიტალის რყევა გამოიწვიოს.

მგრძნობიარობის ანალიზის შეზღუდვებს შორისაა ბაზრის ჰიპოთეტური მოძრაობის გამოყენება იმ პოტენციური რისკის საჩვენებლად, რომელიც რეალურად მხოლოდ ჯგუფის თვალსაზრისს ასახავს უახლოეს მომავალში ბაზრის ცვლილების შესახებ. ამ

უკანასკნელის პროგნოზირება კი საკმარისი სანდოობით შეუძლებელია. ერთ-ერთი შეზღუდვა ისიცაა, რომ ყველა საპროცენტო განაკვეთი იდენტური სახით იცვლება.

საკრედიტო რისკი. ჯგუფიზე მოქმედებს საკრედიტო რისკი, რომელიც იმის რისკია, რომ კლიენტი დროულად ვერ დაფარავს ჯგუფის მიმართ არსებულ დავალიანებას. ჯგუფიზე მოქმედებს საკრედიტო რისკი განგრძობითი ოპერაციებიდან (ძირითადად სავაჭრო დებიტორული დავალიანებებიდან) და საფინანსო აქტივობებიდან, მათ შორის საბანკო ანგარიშებიდან და დაკავშირებული მხარეებიდან, უცხოური ვალუტის გაცვლითი ოპერაციებიდან და სხვა ფინანსური ინსტრუმენტებიდან. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს ჯგუფი ზომავს შემდეგი ფინანსური აქტივებისთვის:

- ფული და ფულის ექვივალენტები
- გაცემული სესხები
- სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

ჯგუფის ამჟამად არ აქვს სხვა სავალო ინსტრუმენტი, შესაბამისად, ეს დოკუმენტი არ აღწერს მსზ-ს გაზომვის სხვა დეტალებს. ფულისა და ფულის ექვივალენტების საკრედიტო რისკი შეზღუდულია, რადგან პარტნიორ ბანკებს აქვთ დადებითი საკრედიტო რეიტინგები. ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ის თითოეული სესხის ან სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების საკრედიტო რისკის დადგენა მათი თავდაპირველი აღიარებისას მოითხოვს ხარჯს და ძალისხმევას. ჯგუფიმ განისაზღვრა მსზ, არსებობის მანძილზე, ანუ ის რისკი, რომელიც წარმოიშვა ფინანსური ინსტრუმენტის სიცოცხლის ყველა შესაძლო ნაგულისხმევი მოვლენის შედეგად. PD შეფასებების მიდგომისთვის ჯგუფი იყენებს სარეიტინგო სააგენტოების მიერ წარმოებულ ისტორიულ PD-ებს. ჯგუფი ახორციელებს გაცემული სესხების კონსოლიდირებულ შეფასებას. კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები, კონტრაგენტის გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ალბათობა და გადახდების შეუსრულებლობა ან ვადაგადაცილება ითვლება გაცემული სესხების პოტენციურად გაუფასურების ინდიკატორად. არცერთი არსებული გაცემული სესხი არ არის ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული, შესაბამისად, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ გაცემული სესხების ზარალის მნიშვნელოვანი რისკი არ არსებობს.

ჯგუფი ფინანსურ აქტივს გადეფოლტებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდა არის 90 დღის ვადაგადაცილებული. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში, ჯგუფიმ ასევე შეიძლება ჩათვალოს, რომ ფინანსური აქტივი არის გადეფოლტებული, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიუთითებს იმაზე, რომ ნაკლებად სავარაუდოა, რომ ჯგუფი მიიღებს გადაუხდელ საკონტრაქტო თანხებს სრულად.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1,714 ლარი და 2,132 ლარი შეფასებული იყო, როგორც ზარალის რეზერვი ფასს 9-ის შესაბამისად, თუმცა, ზარალის რეზერვი არ იყო აღიარებული მოგებასა ან ზარალში, რადგან სამართლიანი ღირებულებას გამოკლებული კუმულაციური თანხა, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, უფრო მაღალი იყო, ვიდრე ზარალის რეზერვის მოსალოდნელი თანხა.

ჯგუფი მეღვინეობა ხარება

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათას ქართულ ლარში)

ლიკვიდობის რისკი - ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დაფარვის ვადის დადგომისას ყველა ვალდებულების გადახდას. ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია ჯგუფის არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი საკონტრაქტო დაფარვის ვადები, დაფარვის შეთანხმებულ პერიოდებთან ერთად, 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ცხრილები შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების გათვალისწინებით, იმ უახლოესი ვადის საფუძველზე, როდესაც ჯგუფის შეიძლება გადახდა მოეთხოვოს. ცხრილები მოიცავს ორივე, პროცენტისა და ძირი თანხის ფულად ნაკადებს.

	1 წელზე ნაკლები	1-5 წელი	5 წელზე მეტი	სულ	საბალანსო ღირებულება
31 დეკემბერი 2022					
ნასესხები სახსრები	17,117	46,295	3,186	66,598	57,362
სავაჭრო და სხვა	10,453	-	-	10,453	10,453
კრედიტორული დავალიანება	1,461	3,200	7,743	12,404	4,890
საიჯარო ვალდებულება					
სულ	29,031	49,495	10,929	89,455	72,705

	1 წელზე ნაკლები	1-5 წელი	5 წელზე მეტი	სულ	საბალანსო ღირებულება
1 იანვარი 2022					
ნასესხები სახსრები	15,633	26,995	10,716	53,344	42,865
სავაჭრო და სხვა	8,522	-	-	8,522	8,522
კრედიტორული დავალიანება	1,410	1,640	9,071	12,121	3,455
საიჯარო ვალდებულება					
სულ	25,565	28,635	19,787	73,987	54,842

23. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები – ჯგუფმა 2020 წლის 10 ნოემბერს ხელი მოაწერა საგარანტიო შეთანხმებას ფინანსურ ინსტიტუტთან. ხელშეკრულების საგანი იყო დაკავშირებული მხარეების სესხების გარანტიორის როლის შესრულება სხვა თავმდებებთან ერთად. გარანტიის ლიმიტმა მთლიანობაში შეადგინა 30,000 აშშ დოლარი. 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური გარანტიის ვალდებულება შეადგენდა 20,487 ლარს და 24,151 ლარს, შესაბამისად.

სამართლებრივი დავები. 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი რაიმე მნიშვნელოვან სასამართლო დავაში არ მონაწილეობდა. ხელმძღვანელობის აზრით, მომავალში მნიშვნელოვანი ოდენობის დაურიცხავი ზარალის გაწევა მოსალოდნელი არ არის. შესაბამისად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რეზერვი არ შექმნილა.

გადასახადები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს სხვადასხვა ინტერპრეტაციისა და ხშირი ცვლილების შესაძლებლობა. გარდა ამისა, ტრანზაქციათა შეფასება საგადასახადო ორგანოებისა და ხელმძღვანელობის მხრიდან შეიძლება

ერთმანეთს არ დაემთხვეს და ტრანსაქციები საგადასახადო ორგანოებმა ეჭვქვეშ დააყენოს. ამის გამო ჯგუფის შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. საგადასახადო შემოწმებისათვის ღიაა 3 წელი.

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება და საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციებით ხასიათდება. საქართველოში ამჟამად მოღვაწე მეწარმეთა წინაშე დგას სხვა სამართლებრივი და ფისკალური გამოწვევებიც. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ძირითადად ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გეგმებს უკავშირდება. 2016-2021 წლების განმავლობაში ჩატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ერთგვარად გზის გამკვლევის ფუნქცია ეკისრებოდა, საქართველო-ევროკავშირის დაახლოების სამოქმედო გეგმის პარალელურად მრავალი სხვა რეფორმაა მოსალოდნელი. 2022 წლის 21 თებერვალს რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა აღმასრულებელ ბრძანებას დონეცკის სახალხო რესპუბლიკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის აღიარების შესახებ. 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთი შეიჭრა უკრაინაში, რაც გადაიზარდა ქვეყნებს შორის სრულმასშტაბიან ომში. ამ მოვლენების შემდეგ აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა, ევროკავშირმა და სხვა ქვეყნებმა გაახანგრძლივეს სანქციები რუსი ჩინოვნიკების, ბიზნესმენების და კომპანიების შესახებ. ასეთმა განვითარებამ რუსული ბიზნესებისთვის შეიძლება გამოიწვიოს საერთაშორისო კაპიტალისა და საექსპორტო ბაზრების ხელმისაწვდომობა, რუსული რუბლის შესუსტება, კაპიტალის ბაზრების კლება და სხვა უარყოფითი ეკონომიკური შედეგები. საქართველოს ეკონომიკის ორი ძირითადი სექტორი, ღვინის წარმოება და ტურისტული ინდუსტრია, ძლიერ არის დამოკიდებული რუსულ ბაზარზე. ტურიზმში მოგზაურთა მნიშვნელოვანი ნაწილი რუსეთსა და უკრაინაზე მოდის. ჯგუფის ხელმძღვანელობა აკვირდება ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებაში განვითარებულ მოვლენებს და იღებს ზომებს, რომლებსაც საჭიროდ მიიჩნევს ჯგუფის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარებისთვის უახლოეს მომავალში. თუმცა, ამ მოვლენების შედეგებმა და მასთან დაკავშირებულმა სამომავლო ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ჯგუფის ოპერაციებზე.

24. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის განმავლობაში აქციონერებმა ჯგუფის კაპიტალში დამატებით შეიტანეს 8,383 ლარი.

ჯგუფი მეღვინეობა ხარება

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება (ათას ქართულ ლარში)

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

1 ჯგუფის საქმიანობის აღწერა და ძირითადი მაჩვენებლები

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა არის ყურძნის მოყვანა, ღვინის და სპირტიანი სასმელების წარმოება, წარმოებული პროდუქციის საცალო და საბითუმო ვაჭრობა, ღვინის ტურიზმი და სარესტორნე მომსახურება.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში იყო:

	საქმიანობა	წილი
შპს მეღვინეობა ხარება	სოფლის მეურნეობა	52.2%
შპს ხარება	სოფლის მეურნეობა	52.2%
შპს პორტა კავკასია	სასტუმრო	52.2%
შპს მარანული	უმოქმედო	52.2%
სულ		

ღვინის და სხვა ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი ჯგუფი “მეღვინეობა ხარება” უძველეს ტრადიციასა და დაფუძნებული. ჯგუფი მუშაობს ვაზის უნიკალური კულტურის შენარჩუნებასა და ღვინის წარმოებაზე, როგორც უძველესი მეთოდით, ასევე უახლესი ტექნოლოგიებით. თანამედროვე ბაზრისა და ტექნოლოგიების განვითარების გათვალისწინებით ჯგუფიმ განახორციელა არსებული ქარხნის რეორგანიზაცია და მნიშვნელოვნად დახვეწა ქარხნის ტექნიკური აღჭურვილობა, 2021-2022 წლებში აშენდა და ქსპლუატაციაში შევიდა ახალი თანამედროვე ტექნოლოგიებითა და მოწყობილობებით აღჭურვილი ქარხანა. გაეშვა ახალი საჩამომხმელო საამქრო და დამონტაჟდა ახალი ხაზი; ჯგუფის პირად საკუთრებაშია მიწები, როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში, რომელზეც გაშენებულია უნიკალური ქართული და ევროპული ვაზის ჯიშები, საიდანაც შესაბამისად მზადდება მაღალი ხარისხის ღვინოები. ჯგუფის საკუთარ და იჯარით აღებულ მიწებზე გაშენებული აქვს დაახლოებით 1092 ჰა ფართობზე ვენახები, რომელთა ძირითადი ნაწილიც მდებარეობს კახეთის და სამეგრელოს რეგიონში. ძირითადად გაშენებული აქვს საფერავის და რქაწითელის ჯიშის ვენახები. ჯგუფის აქვს შემდეგი ევროპული ჯიშის ყურძნები: კაბერნე, შარდონე, სოვინიონი, მუსკატი, პინო და მერლო. ჯგუფი ასევე ხელს უწყობს იმ იშვიათი ჯიშების მოშენებას, როგორებიცაა: ოცხანური საფერე, ციცქა, ცოლიკოური, კრახუნა, ალადასტური, უსახელოური, ხიხვი და ქისი.

ჯგუფის უმთავრესი მიზანია, აწარმოოს უმაღლესი ხარისხის ღვინო ქართული და ევროპული მეთოდებით საკუთარი ვენახებიდან. არსებული ჯიშების მოშენების გარდა, ჯგუფის კიდევ ერთი დანიშნულებაა, დაამუშაოს უძველესი ტრადიციული ქართული ყურძნის ჯიშები. ვაზის ჯიშები რეგიონალური გავრცელების ჭრილში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ჯგუფი მეღვინეობა ხარება

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება (ათას ქართულ ლარში)

- აღმოსავლეთ საქართველო - მწვანე, რქაწითელი, საფერავი, ქისი, ძელშავი და ხიხვი.
- დასავლეთ საქართველო - ალექსანდროულ, თამარისვაზი, კაპისტონი, კრახუნა, მუჯურეთული, ოცხანურისაფერე, ოჯალეში, პუმპულა, უსახელოური, ციცქა, ცოლიკოური და ხარისთვალა.

ვაზის ჯიშების მრავალფეროვნება და სხვადასხვა კლიმატური პირობები ჯგუფის საშუალებას აძლევს აწარმოოს მაღალი ხარისხის განმასხვავებელი ნიშნის მქონე პროდუქტი. განსაკუთრებული მუშაობის სტილი და ასევე ღვინის განვითარება მარანში მიგვანიშნებს “ცოცხალ” ასორტიმენტზე.

მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრები გამუდმებით ცდილობენ გააუმჯობესონ ღვინოების ხარისხი.

ჯგუფი აწარმოებს დასავლეთ საქართველოს ღვინოებს: ციცქას, კრახუნას, ცოლიკოურს, ოცხანურ საფერეს, ალადასტურს, უსახელოურს, აღმოსავლეთ საქართველოს ღვინოებს: რქაწითელს, მწვანეს, ხიხვს, ქისს, საფერავს, მუკუზანს, ქინძმარაულს, ახაშენს. ჯგუფის საწარმოო მნიშვნელობით გაშენებული აქვს 25 დასახელების ვაზის ჯიშში, აქედან 18 ქართული და 7 ევროპული. ჯგუფი დიდ ყურადღებას აქცევს იშვიათი ქართული ვაზის ჯიშების მოშენებას. ჯგუფის მიერ გაშენებული ქართული ვაზის ჯიშები:

- გავრცელებული ვაზის ჯიშები - მწვანე, რქაწითელი, საფერავი, ციცქა და ცოლიკოური.
- იშვიათი ვაზის ჯიშები - ალექსანდროული, თამარისვაზი, კაპისტონი, კრახუნა, მუჯურეთული, ოცხანური საფერე, ოჯალეში, პუმპულა, უსახელოური, ქისი, ძელშავი, ხარისთვალა და ხიხვი.
- ევროპული ვაზის ჯიშები: ალიგოტე, კაბერნე, მერლო, მუსკატი, პინო, სოვინიონი და შარდონე.

ჯგუფი მიზნად ისახავს გადარჩინოს და განავითაროს სხვა უიშვიათესი ქართული ვაზის ჯიშები. ამ მიზნით ჯგუფის გაშენებული აქვს საკოლექციო ვაზის ჯიშებისგან შემდგარი ვენახი.

2014-2015 წლებში ჯგუფიმ განაახლა ქარხანა, რომლის ფარგლებშიც: (1) რეკონსტრუქცია-მოპირკეთება განიცადა ქარხნის შენობამ და მიწისქვეშა საცავმა (2) გაეშვა ახალი საჩამომხმელო საამქრო და დამონტაჟდა ახალი ხაზი; (3) აშენდა თანამედროვე საწარმოო მასალების საწყობი; (4) მომზადდა ტერიტორია ტურისტული ზონის მშენებლობისთვის (5) შეძენილ იქნა მაღალტექნოლოგიური ლაბორატორია ღვინის ხარისხის კონტროლის მიზნით. თერჯოლის მარანში ერთმანეთთან შერწყმულია 8000 წლიანი ტრადიციული მეღვინეობა და დარგის 21ე საუკუნის ინოვაციური მიღწევები. ესაა ადგილი, სადაც ჯგუფი აწარმოებს 20-ზე მეტი დასახელების ვაზის ჯიშიდან 40-ზე მეტი სახეობის ღვინო.

ჯგუფის აღმოსავლეთ საქართველოს მარანი მდებარეობს ვაჩნაძიანში (კახეთში) და ღვინოს აწარმოებს 1957 წლიდან, ეს მარანი უმეტესად აწარმოებს სუფრის ღვინოებს და წარმოების მოცულობა აქვს 9,000 ტონა წლის განმავლობაში. ვინაიდან ჯგუფიმ დაასრულა ყვარლის რაიონში ახალი ღვინის ქარხნის მშენებლობა, რომელსაც წლის განმავლობაში შეუძლია 10,000

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება (ათას ქართულ ლარში)

ტონა ღვინის წარმოება, ვაჩნაძიანის ღვინის ქარხანას მიეცა საშუალება ვენახებიდან პირდაპირ სააწარმოში უმოკლეს ვადაში მიიღოს ყურძენი, რაც ადრე მხოლოდ თერჯოლის ქარხანას შეეძლო. მოცემული ღვინის ქარხანა აშენდა კახეთის რეგიონში, ვაჩნაძიანში, ჯგუფის ვენახების ძირითადი მასივების სიახლოვეს. ასევე ხელმძღვანელობა გეგმავს ქარხანასთან ერთად მოაწყოს ტურისტული ზონაც, რომელიც მოიცავს, სადეგუსტაციო სივრცეს, ტურისტულ ბილიკს ქარხნის შიდა ტერიტორიაზე, ვერანდას, რომლიდანაც იშლება ულამაზესი ხედი ალაზნის ველზე და კავკასიონის მთათა სისტემაზე.

ყვარელში, ალაზნის ველის განაპირას მდებარეობს ჯგუფის უნიკალური ღვინის საცავი - გვირაბი. გვირაბი კავკასიონის კლდის მასივშია გამოკვეთილი, იგი 1962 წელს სპეციალურად ვაზისა და ღვინის მსოფლიო კონგრესისთვის გაიხსნა და ამჟამად ჯგუფის ღვინის საცავს წარმოადგენს. აქ რამდენიმე ათეული წელი ინახებოდა კახეთის რეგიონის საუკეთესო ღვინოები. მასში მთელი წლის მანძილზე შენარჩუნებულია ბუნებრივი ტემპერატურა 12-14 C გრადუსი, ხოლო ტენიანობა 70%-ს შეადგენს, რაც იდეალურ პირობას ქმნის ღვინის შენახვისა და დამკველებისათვის. ტურისტულ კომპლექსში შედის ასევე პრემიუმ კლასის რესტორანი „ხარება“, რომელიც მთაზეა განთავსებული და ღვინის საძველეს ლიფტით უკავშირდება.

ჯგუფი საკუთარი წარმოების ღვინის და სხვა ალკოჰოლური სასმელის რეალიზაციას ახდენს როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო ბაზარზე. ჯგუფისთვის ძირითადი საქსპორტო ბაზრებს წარმოადგენს რუსეთი, პოლონეთი, ჩინეთი. ასევე ჯგუფი ახორციელებს ექსპორტს გერმანია, იტალიასა

და თურქეთში. ჯგუფის აქვს ღვინის მაღაზიები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: თბილისი, ბათუმი, მცხეთა, თერჯოლა, ყვარელი, ქუთაისი, ფოთი.

2. 2022 წლის შედეგების მიმოხილვა

საქართველო მდებარეობს ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე, კერძოდ კავკასიაში. 2008 წლიდან მოყოლებული, საქართველომ მსხვილ პარტნიორ ქვეყნებთან გააფორმა ხელშეკრულებები ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ. ასევე ძალიან სტაბილური და სანდო საბანკო სისტემა. ლონდონის საფონდო ბირჟაზე გასულია ორი მთავარი ბანკი, რომლებიც ხელმისაწვდომ ფინანსებს უზრუნველყოფს. ეს კი წარმატებული ბიზნესის ერთერთი მთავარი წინაპირობაა.

2022 წელს საქართველომ 104 მილიონი ლიტრი ღვინო გაიტანა ექსპორტზე 66 ქვეყანაში, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ისტორიულად მაღალი რიცხვია. ექსპორტირებული ღვინიდან შემოსავალმა შეადგინა 252,5 მილიონი, რაც, ასევე, რეკორდია. ექსპორტირებული ღვინის თანხა და შემოსავალი გაიზარდა 5.5%-ით 2021 წლის იგივე რიცხვებთან შედარებით.

საექსპორტო ქვეყნების პროპორცია იყო შემდეგი: 64% - რუსეთი (161 მლნ აშშ დოლარი), 6% - პოლონეთი (15 მლნ აშშ დოლარი), 5% - უკრაინა (14 მლნ აშშ დოლარი), 5% - ჩინეთი (12,5 მლნ აშშ დოლარი), 4% - ყაზახეთი (10 მლნ აშშ დოლარი), 3% - ბელორუსია (8 მლნ აშშ დოლარი) and 2% - აშშ (5,3 მლნ აშშ დოლარი).

ჯგუფი მეღვინეობა ხარება

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება (ათას ქართულ ლარში)

2022 წელს საქართველოს ექსპორტი იყო ტოპ 20 ღვინის საექსპორტო ქვეყნებში.

2022 წელს 1 ლიტრი ქართული ღვინის საშუალო საექსპორტო ფასი იყო - 2.48 აშშ დოლარი.

ქართული ღვინისა და სხვა ალკოჰოლიანი სასმელების ხარისხის კონტროლის გაძლიერების მიზნით, 2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა საკანონმდებლო ცვლილება - ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციისთვის განკუთვნილი, საქართველოში წარმოებული ალკოჰოლიანი სასმელების სავალდებულო სერტიფიცირების შესახებ.

2023 წელს საქართველოში ვენახების კადასტრის ეროვნული პროგრამა დასავლეთ საქართველოში (იმერეთი, გურია, სამეგრელო და აჭარა) განხორციელდა, რითაც პროგრამა ქვეყნის მევენახეობის ყველა რეგიონი მოიცვა. საქართველოს მევენახეობის ყველა რეგიონში აღწერილია 48 700-მდე ჰექტარი ფართობი. მეღვინეობა ხარება წარმოადგენს საქართველოს ბაზარზე ერთ-ერთ უმსხვილეს ჯგუფს. 2022 წლის განმავლობაში საკუთარი ვენახებიდან მიიღო და გადაამუშავა ჯამურად 5,180 ტონა სხვადასხვა ჯიშის ყურძენი. მიღებულ მოსავალში ჭარბობს საფერავი და რქაწითელი, 2022 წელს ჯამურად მიღებული მოსავლის 70% საფერავსა და რქაწითელზე მოდიოდა.

ჯგუფის წარმოებულ პროდუქცია გააქვს, როგორც ექსპორტზე, ისე ადგილობრივ ბაზარზე. 2022 წლის მაისიდან ადგილობრივად დისტრიბუციის სამსახურის მომსახურებაზე უარი თქვა არარენტაბელობის გამო, ადგილობრივად რეალიზაციას ახდენს მხოლოდ თავის საფირმო მაღაზიებში, თუმცა ამონაგების ფორმირება ძირითადად ექსპორტიდან ხდება.

	2022
ამონაგები სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდებიდან	32,763
ამონაგები ტრაქტორების რეალიზაციიდან	2,981
სხვა საოპერაციო შემოსავალი	2,598
სულ	38,342

ჯგუფის ამონაგები გაზრდილია 3% ით. თანხობრივი გამოხატულებით ძირითადი ზრდა შეინიშნება ექსპორტზე საბითუმო რეალიზაციიდან. შეფასებისთვის ჯგუფი იყენებს შემდეგ ფინანსური კოეფიციენტებს:

	2022
მიმდინარე კოეფიციენტი	1.86
საერთო მოგების მარჟა რეალიზაციიდან	31%
საერთო მოგების მარჟა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან	25%
წმინდა მოგების მარჟა	6%
უკუგება მთლიან აქტივებზე (ROA)	1%
უკუგება მთლიან კაპიტალზე (ROE)	3%

1. მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი - მიმდინარე აქტივები შეფარდებული მიმდინარე ვალდებულებებთან.
2. საერთო მოგების მარჟა რეალიზაციიდან - საერთო მოგება რეალიზაციიდან შეფარდებული ამონაგებთან.
3. საერთო მოგების მარჟა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან - საერთო მარჟა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან შეფარდებული სოფლის მეურნეობის საწყისი აღიარებიდან მიღებული შემოსავალთან.
4. წმინდა მოგების მარჟა - სრული შემოსავალი/(ზარალი) შეფარდებული ამონაგებთან.
5. უკუგება მთლიან აქტივებზე - სრული შემოსავალი/(ზარალი) შეფარდებული მთლიან აქტივებთან.
6. უკუგება მთლიან კაპიტალზე - სრული შემოსავალი/(ზარალი) შეფარდებული მთლიან კაპიტალთან.

3. ჯგუფის სტრატეგია და მიზნები

ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განავითარონ ჯგუფის საქმიანობა საქართველოში და ასევე, მოახდინონ ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიება. ჯგუფის ღვინის გზის განვითარების ფარგლებში აქვს შემდეგი გეგმები:

- არატრადიციული ბაზრების მოძიება (ძირითადად აქცენტი გაკეთდება აზიურ ბაზრებზე);
- ქართული ღვინის პოპულარიზაცია საერთაშორის ბაზრებზე;
- სადისტრიბუციო ქსელის გაფართოება უცხოურ ბაზრებზე;
- ქვევრის ღვინის და იშვიათი ყურძნის ჯიშებისგან დამზადებული ღვინის წარმოება; - ადგილობრივ ბაზარზე მაღალხარისხიანი ბოთლის ღვინის მიწოდება.

ჯგუფი მომავალ პერიოდებშიც გეგმავს სოფლის მეურნეობის მიმართულებით მევენახეობის დარგის განვითარებას და აქტიურად ახდენს ახალი ვენახების გაშენებას როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში. სოფლის მეურნეობის განვითარების მხრივ, ჯგუფი ახორციელებს ლურჯი მოცვის პლანტაციების გაშენებას აქტიურად. ლურჯ მოცვზე მაღალი მოთხოვნაა როგორც ადგილობრივ, ასევე საექსპორტო ბაზრებზე. მოცვი ექსპორტზე გადის ევროკავშირის ქვეყნებში, დიდ ბრიტანეთში, რუსეთში და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში. ჯგუფი გეგმავს სასტუმრო ბიზნესის განვითარებას საქართველოს მასშტაბით, მათ შორის კახეთში. პროექტის მიხედვით იგეგმება, ყვარელში, ტურისტულ ზონაში, 50-55 ნომრიანი 3 ვარსკვლავიანი სასტუმროს აშენება, რომლის მშენებლობის დაწყება იგეგმება 2025 წელს.

4. ჯგუფის მმართველობა და სტრუქტურა

ჯგუფის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს დამფუძნებელთა კრება, რომელიც კრებათა შორის პერიოდში მოქმედებს სამეთვალყურეო საბჭოს მეშვეობით. საბჭოს დაქვემდებარებაშია მრჩეველთა აპარატი და შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური. ჯგუფის ოპერატიულ მართვას ახორციელებს აღმასრულებელი დირექტორი, მისი პირველი მოადგილე, ფინანსური და კომერციული დირექტორები, დირექტორი სტრატეგიული

განვითარების საკითხებში. ჯგუფის სტრუქტურული დანაყოფები და ზოგადი ფუნქციური შემადგენლობა:

- ადმინისტრაციულ სამსახურში გაერთიანებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება, კანცელარია, ავტოპარკი და სამეურნეო განყოფილება;
- იურიდიული სამსახური არ მოიცავს ცალკეულ სტრუქტურულ ერთეულებს;
- საკადრო რესურსების მართვის სამსახური არ მოიცავს ცალკეულ სტრუქტურულ ერთეულებს;
- უსაფრთხოების სამსახური შედგება დაცვის განყოფილებისა და კომერციული უსაფრთხოების განყოფილებისგან;
- შესყიდვებისა და ლოჯისტიკის სამსახური შედგება ადგილობრივი შესყიდვების განყოფილების, საერთაშორისო შესყიდვების განყოფილებისა და ლოჯისტიკის განყოფილებისგან;
- ცენტრალური საწყობი განთავსებულია ჯგუფის სათავო ოფისის ტერიტორიაზე;
- ფინანსური სამსახური შედგება ფინანსური ანალიზისა და კონტროლის განყოფილების, საგეგმოსაინვესტიციო განყოფილებისა და ბუღალტერია
- მარკეტინგის სამსახური შედგება მარკეტინგული კვლევებისა და დაგეგმვის განყოფილების და საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სერვისების მართვის განყოფილებისგან;
- ადგილობრივი გაყიდვების სამსახური შედგება პრისელინგის განყოფილებისა და საცალო გაყიდვების განყოფილებისგან;
- საერთაშორისო გაყიდვების სამსახური მოიცავს მიმართულებებს საექსპორტო რეგიონების მიხედვით;
- ტექნიკური სამსახური მოიცავს საწარმო-ტექნიკურ, მექანიზაცია-დანადგარების, სამშენებლო-სარემონტო მიმართულებებს;
- აგრარული დეპარტამენტი შედგება ყვარლის სავენახე მეურნეობის, ვაჩნაძიანის სავენახე მეურნეობის, საბუეს სავენახე მეურნეობის, სვირის სავენახე მეურნეობის, ეწერის სავენახე მეურნეობის, ამბროლაურის სავენახე მეურნეობის, ოყურემის სავენახე მეურნეობის, ზუგდიდის (ოდიში და ახალსოფელი) სავენახე მეურნეობისა და ყვარლის საფუტკრე მეურნეობისგან;
- მეღვინეობის დეპარტამენტი შედგება ყვარლის მარნის, ვაჩნაძიანის მარნის, მუკუზნის მარნისა და თერჯოლის მარნისგან;
- ყვარლის გვირაბის კომპლექსი შედგება რესტორანი „ხარება“, ტურისტული კომპლექსის, საფირმო მაღაზიისა და ღვინის საცავისგან - ენოთეკა;
- საფირმო მაღაზიების ქსელი მოიცავს თბილისის (რუსთაველის ქ.), თბილისის (გორგასლის ქ.), მცხეთის N1, მცხეთის N2, თერჯოლის, ფოთის, ქუთაისის და ბათუმის მაღაზიებს.
- შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სამსახური მოიცავს შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მიმართულებებს.

ხელმძღვანელობისთვის ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს წარმოადგენს ჯგუფში დასაქმებულ თანამშრომლებზე ზრუნვა. გარდა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნებისა ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად კომფორტული გარემო შეუქმნას მომუშავე პერსონალს. კერძოდ, მუდმივად ზრუნავს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, აუცილებელი ტრენინგების ჩატარებაზე, ასევე ხდება

თანამშრომლების გაგზავნა სხვადასხვა ქვეყნებში ცოდნის და გამოცდილების მისაღებად. ხელმძღვანელობა სისტემატიურად არის ჩართული პროფესიული კადრების ძიებაში, ცდილობს მათი საჭიროებისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, ახორციელებს ინვესტიციებს მათი პროფესიული განათლების კუთხით და ერთგულების წახალისების მიზნით.

5. ჯგუფის ძირითადი მიღწევები და შედეგების მიმოხილვა

ჯგუფის ამონაგები 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის 24% მოდის ადგილობრივ ბაზარზე. შესაბამისად, საქმიანობის შედეგებზე ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და იმოქმედებს საქართველოს ეკონომიკური ფაქტორები, როგორცაა მთლიანი შიდა პროდუქტის ცვლილება, უმუშევრობის და ინფლაციის დონე. ჯგუფიზე მოქმედებს ვალუტის მერყეობა ბიზნესგარემოსა და საქმიანობის დარგის სპეციფიკის გამო. საქართველოს ეკონომიკის დოლარიზაციის მაღალი ხარისხის გამო (საბანკო ანაბრებისა და სესხების დოლარიზაციის მიხედვით), მომხმარებლების მყიდველობით უნარზე შეიძლება გავლენა მოახდინოს ვალუტის მერყეობამ, კერძოდ, ლარის გაუფასურებამ დოლარისა და ევროს მიმართ. ჯგუფს საკრედიტო დაწესებულებების მიმართ სასესხო დავალიანება აქვს, რომელიც 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მნიშვნელოვანწილად წარმოდგენილია უცხოურ ვალუტაში. ლარის შემდგომი გაუფასურება გაზრდის ჯგუფის საპროცენტო ხარჯებს და სხვა დანახარჯებს. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფი ცდილობს ვალუტის ცვალებადობის ეფექტის მინიმუმამდე დაყვანას, ასეთმა ცვალებადობამ შეიძლება მის შედეგებზე გავლენა იქონიოს. საქართველოს ესაზღვრება აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი და რუსეთი და მის საზღვრებში მოქცეულია ორი ოკუპირებული ტერიტორია - აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი. რეგიონში არსებული დაძაბული პოლიტიკური ვითარება უარყოფითად მოქმედებს მეზობელ ქვეყნებთან საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობებზე. 2022 წლის თებერვალში რუსეთის ფედერაციამ დაიწყო საომარი მოქმედებები უკრაინის ტერიტორიაზე, რომელიც ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა. ჯგუფის ამონაგების არსებითი ნაწილი ფორმირდება რუსეთის ბაზარზე პროდუქციის მიწოდებით. მოცემულ მოვლენასთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებულ და რუსული ინვესტიციებით დაფინანსებულ კომპანიების ნაწილზე გავრცელდა სანქციები. ამასთანავე, არსებობდა რისკი, რომ რუსეთში რეგისტრირებულმა კომპანიებმა ვერ შეასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებს, რაც მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას მოახდენდა ჯგუფის ფინანსურ სტაბილურობაზე, თუმცა ამ რისკებს ჯგუფისთვის მნიშვნელოვანი ზარალი არ მიუიყენებია. ჯგუფი მნიშვნელობას ანიჭებს თუ რამდენად შესძლებს ხელმძღვანელი პირებისა და კვალიფიციური თანამშრომლების აყვანას და შენარჩუნებას. წამყვანი ხელმძღვანელობის ამჟამინდელ გუნდში შედიან პირები, რომელთაც მნიშვნელოვანი გამოცდილება და კომპეტენცია აქვთ. იმას, თუ რამდენად შესძლებს შეინარჩუნოს, წახალისოს და მოიზიდოს მაღალკვალიფიციური და გამოცდილი ხელმძღვანელი პირები, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი საქმიანობისთვის. არ არსებობს იმის გარანტია, რომ ჯგუფი შესძლებს საჭირო კვალიფიციური პერსონალის მოზიდვას და შენარჩუნებას. ხელმძღვანელობის წამყვანი გუნდის შემცირება ან მისი წევრების დაკარგვა, საჭირო სპეციალისტების მოზიდვის, გადამზადების ან შენარჩუნების თვალსაზრისით მარცხი, უარყოფითად იმოქმედებს საქმიანობაზე. ასევე ერთერთი უმნიშვნელოვანესი პროცესი, რაც სასტუმროსა და სარესტორნო ინდუსტრიაში შეიძლება განხილეთ არის სახელის (ბრენდი) დაცვა და უფრო მყარად დამკვიდრება, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო ბაზარზე. რაც გულისხმობს პროცესის, იდეის ან იმიჯის ბაზარზე ისე წარმოდგენას, როდესაც მომსახურება და პროდუქტი უფრო და უფრო მეტი ადამიანისთვის ხდება ცნობილი და გამორჩეულად ხდება იდენტიფიცირება ამ კონკრეტული ჯგუფისა. ხელმძღვანელობა

ჯგუფი მეღვინეობა ხარება

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება (ათას ქართულ ლარში)

გამუდმებით მუშაობს არა მხოლოდ ბრენდის ცნობადობის გაზრდისთვის, არამედ მისი რეპუტაციისა და გარკვეული სტანდარტების დამყარებისთვის. ასე მაგალითად, ჯგუფი მუდმივად ზრუნავს მისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რაც გულისხმობს როგორც რესტორნებისა და სამზარეულოს პერსონალის გადამზადებას, ასევე სასტუმროს მომსახურე პერსონალის უნარ-ჩვევების გაღრმავებასა და მსოფლიოში წამყვან სასტუმრო ინდუსტრიაში არსებული სტანდარტებთან გათანაბრებას. ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას ჯგუფი რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ხელმძღვანელობის სახელით:

ნაირა ასპანიძე
დირექტორი

თბილისი, საქართველო
30 სექტემბერი 2024


ჯგუფი მეღვინეობა ხარება

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება (ათას ქართულ ლარში)

გამუდმებით მუშაობს არა მხოლოდ ბრენდის ცნობადობის გაზრდისთვის, არამედ მისი რეპუტაციისა და გარკვეული სტანდარტების დამყარებისთვის. ასე მაგალითად, ჯგუფი მუდმივად ზრუნავს მისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რაც გულისხმობს როგორც რესტორნებისა და სამზარეულოს პერსონალის გადამზადებას, ასევე სასტუმროს მომსახურე პერსონალის უნარ-ჩვევების გადრმავეებასა და მსოფლიოში წამყვან სასტუმრო ინდუსტრიაში არსებული სტანდარტებთან გათანაბრებას. ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას ჯგუფი რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ხელმძღვანელობის სახელით:



ნაირა ასპანიძე
დირექტორი

თბილისი, საქართველო
30 სექტემბერი 2024